საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-55

ქ. თბილისი "17" 02 2010 წ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილ შ.პ.ს. „გეომაგინვესტპრომი"-ს „კერამიკული აგურის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე" ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 08.02.10. №4 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილ შ.პ.ს. „გეომაგინვესტპრომი"-ს „კერამიკული აგურის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშიზე";
2. ამ ბრძანების პირველი პუქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შ.პ.ს. „გეომაგინვესტპრომმა" უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს შ.პ.ს. „გეომაგინვესტპრომსა" და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შ.პ.ს. „გეომაგინვესტპრომსა" და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 11.12.09წ №1347 განცხადება, 08.02.10წ. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №4 და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხახიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, შ.პ.ს. „გეომაგინვესტპრომს", გარემოს დაცვის ინსპექციას, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.